

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საველე პრაქტიკის სილაბუსი

საველე პრაქტიკის დასახელება საველე პრაქტიკა გეოგრაფიაში (ბუნების კატასტროფული მოვლენები)

საველე პრაქტიკის კოდი Z.1.G.27

საველე პრაქტიკის ხელმძღვანელი პროფესორი: ელიზბარ ელიზბარაშვილი, პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 599-73-58-86, e-mail : eelizbar@hotmail.com კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის სამშაბათი, 12 საათიდან თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (მოწვ. მასწ.): ვ. გორგიშელი, ტელ: 593645738.

კრედიტების რაოდენობა ECTS: 10 კრედიტი, (250სთ.) საკონტაქტო 90სთ. დამოუკიდებელი მუშაობისთვის 160სთ.

პრაქტიკის სტატუსი: პრაქტიკა გათვალისწინებულია: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრიატის III კურსის სტუდენტებისათვის. პრაქტიკა სავალდებულოა

პრაქტიკის ხანგრძლივობა 2 კვირა მე-6 სემესტრში

პრაქტიკის მიზანი და ამოცანები: პრაქტიკის მიზანია მომავალი გეოგრაფები

გაეცნონ ბუნების სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულსაქართველოს ძირითად ეკოლოგიურ პრობლემებს. - ღვარცოფი, მეწყერი, წყალდიდობა, გვალვა, გაუდაბნოება და სხვ. დააკვირდნენ და შეისწავლონ ბუნების კონკრეტული საშიში მოვლენები

პრაქტიკის წინაპირობები: პრაქტიკა ჩატარდება სწავლების მე-6 სემესტრში (ივლისში), როდესაც გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს ათვისებული აქვთ ამავე სემესტრის თეორიული კურსები

პრაქტიკის შედეგები :

ცოდნა და გაცნობიერება	აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს	შეიძენს ცოდნას და უნარებს იმსჯელოს საქართველოს ძირითად ეკოლოგიურ პრობლემებზე. - ღვარცოფი, მეწყერი, წყალდიდობა, გვალვა, გაუდაბნოება და სხვ. და მათთან ბრძოლის მეთოდებზე. აკვირდება ბუნებრივ გარემოს და
-----------------------	--	---

		აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ შეასრულოს მარტივი დავალებები	დამოუკიდებლად მოიძიებს მასალას, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს, მოახსენებს შედეგებს. იყენებს ველზე მუშაობის წესებს,

პრაქტიკის შინაარსი

თემა 1. საქართველოს ეკოლოგიური პრობლემების ზოგადი განხილვა და ზოგიერთი მათგანის უშუალო გაცნობა კახეთის რეგიონში.

2 დღე (14 საათი)

თემა 2. ღვარცოფი. მისი წარმოშობის მიზეზები და გავრცელების რაიონები. თელავის რაიონის ღვარცოფშემაკავებელი ნაგებობების დათვალიერება.

2 დღე (14 საათი).

თემა 3. გვალვა. გვალვის გავრცელების რაიონები საქართველოში. გვალვის შეფასების მეთოდების შესწავლა (სელიანინოვის ჰიდროთერმული კოეფიციენტი, შაშკოს კოეფიციენტი, დანესტიანების კოეფიციენტი და სხვ.) და მათი პრაქტიკული გამოყენება კონკრეტულ მაგალითებზე.

4 დღე (24 საათი)

თემა 4. გაუდაბნოება. მისი ბუნებრივი და ანტროპოგენური ფაქტორები. გაუდაბნოების ძირითადი რაიონები. გაუდაბნოების პროცესები კახეთის რეგიონში, მათი ინტენსივობის შეფასება.

4 დღე (24 საათი)

თემა 5. წყალდიდობა. მისი შედეგები.

2 დღე (14 საათი)

შეფასების კრიტერიუმები:

შეფასების 100% გადანაწილდება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება მაქსიმუმ 60 ქულა

საწყისი მასალის მოგროვება -მაქსიმუმ 30 ქულა

მასალის პირვალადი სტატისტიკური დამუშავება -მაქსიმუმ @20 ქულა

დასკვნების გამოტანა-მაქსიმუმ @20 ქულა.

პრაქტიკის ანგარიშის დაცვა- მაქსიმუმ 40 ქულა.